სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

თეა ჯღარკავა[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI:https://doi.org/10.52340/sou.2023.21.22

პოეტიკის ენობრივ და ლიტერატურულ-კომპოზიციურ ასპექტთა ურთიერთმიმართების პრობლემისათვის კლასიკურ ნარატივში

აბსტრაქტი. სტატია ეხება კომპოზიციური ფორმის ფუნქციონირების ერთ-ერთ პრობლემას კლასიკური ნარატიული ტექსტის ექსპოზიციაში. ავტორის დასკვნა ცხადყოფს, რომ არსებობს წინააღმდეგობა, ექსპოზიციაში შესრულებულ ფუნქციას „დახასიათება“ და ენობრივად განსაზღვრულ, მის ფუნქციას შორის.

როგორც ვიცით, სამეტყველო-ფორმა გაიგება, როგორც ენობრივი ფორმა, რომელთა მეშვეობითაც ხდება „სინამდვილის ფაქტობრივი აღქმა, შერჩევა და შეფასება“. მხატვრული ნარატიული ტექსტის სამი ასპექტის დაკავშირება, გამომდინარეობს მხატვრული ნარატივის - ნაშრომში დასახელებულ ასპექტთან ურთიერთმიმართებიდან. ბუნებრივია, ნარატოლოგია ახდენს მხატვრული ტექსტის, გარკვეულ ასპექტთა ინტეგრირებას და ვსვამთ საკითხს, თუ როგორ უნდა მოხდეს ლიტერატურათმცოდნეობის და ლინგვისტიკის მონაცემთა ინტეგრირება, მხატვრული ტექსტის კვლევის პროცესში.

მხატვრული ნარატივის კვლევისადმი ინტერდისციპლინარული მიდგომა გულისხმობს იმის კვლევას, თუ როგორ უნდა იყოს ენობრივ საშუალებათა როლი, ნარატიული სიუჟეტის სტრუქტურირების შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოების შესავალში ხდება პერსონაჟის მკითხველისადმი წარდგენა, დახასიათების გზით.

ნაშრომიდან ვასკვნით, რომ მხატვრული ნარატივის ექსპოზიციის ფარგლებში, ვხვდებით, სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ფუნქციის ინვერსიას, რომელზეც გვამცნობს ლინგვისტიკა.

---

[1] **თეა ჯღარკავა,** ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი.

საკვანძო სიტყვები: პოეტი, მხატვრული ნარატივი, კომპოზიციური ფორმა, ლიტერატურულ-კომპოზიციური ასპექტები, ენობრივი საშუალება, სიუჟეტის სტრუქტურირება.

Tea Jgarkava[1]
Sokhumi State University

For the Problem of Relationship Between Linguistic and Literary-Compositional Aspects of Poetics in Classical Narrative

Abstract. The article deals with the problem of on the functioning of the compositional form, „delineation" in the exposition of a classical narrative text. The author's conclusion shows that there is a contradiction shows that there is a contradiction between the function „characterization", performed in exposition and its function as its function defined linguistically.

As we know, the speech-form is understood as a linguistic form through which „actual perception, selection and evaluation of reality" takes place. The connection of the three aspects of the artistic narrative text is derived from the relationship of the artistic narrative with the aspect named in the work.

Naturally, narratology integrates certain aspects of the artistic text and we ask the question of how to integrate the data of literary studies and linguistics in the process of researching the artistic text. An interdisciplinary approach to the study of artistic narrative involves the study of how the role of linguistic means should be in the case of structuring a narrative plot, when in the introduction of the work, the character is presented to the reader, through characterization.

We conclude from the paper that within the framework of the exposition of the artistic narrative, we find the inversion of the function of the speech-compositional form, which linguistics informs us about.

Keywords: Poet, Artistic Narrative, Compositional Form, Literary-Com-positional Aspects, Linguistic Means, Plot Structuring.

შესავალი. სტატიაში განხილულია მხატვრული ნარატიული ტექსტის შემდეგი სამი ასპექტის ერთმანეთთან დაკავშირება: ა) ნარატიული სიუჟეტის ის სტრუქტურული ელემენტი, რომელიც დამახასიათებელი იყო და არის ამ ჟანრის კლასიკისთვის, ბ) პერსონაჟის, როგორც კლასიკური ნარატივის პოეტიკა, გ) საკუთრის ლიტერატურულ და ენობრივ საშუალებათა ურთიერთზემოქმედება, ნარატიული სიუჟეტის აგების და განვითარების თვალსაზრისით.

ვფიქრობთ, ამგვარი მიზნის დასახვა უნდა გულისხმობდეს ამ კითხვის დასმას, რომლის პრობლემური ხასიათი უნდა გამომდინარეობდეს მხატვრული

[1] **Tea Jgharkava**. Doctor of Philology, Assistant Professor at Sokhumi State University.

ნარატივის ზემოთ დასახელებულ ასპექტთან ურთიერთმიმართებიდან, რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ გაიგება ხსენებული მიმართება თანამედროვე თეორიულ ნარატოლოგიაში - თუ, რა თქმა უნდა, ტერმინ ნარატოლოგიას მივანიჭებთ იმ ფართო მნიშვნელობას, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს მისი სემანტიკური სტრუქტურიდან; ცხადია, რომ ამ შემთხვევაში „ნარატოლოგია უნდა ახდენდეს მხატვრული ტექსტის, როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე თეორიის გარკვეულ ასპექტთა ინტეგრირებას: იგი, ერთი მხრივ, უნდა ნიშნავდეს მოძღვრებას ეპიკურ ლიტერატურულ ფორმათა შესახებ, მეორე მხრივ, კი ხაზს უნდა უსვამდეს ამ ფორმათა კომუნიკაციურ არსს. როგორც ცნობილია, „ლიტერატურის ბუნების კომუნიკაციური გაგება“ (Илъин 2001: 609). ჩვენი აზრით, სწორედ ნარატოლოგიის ამგვარი გაგება მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ადეკვატურად დავსვათ კითხვა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, თანამედროვე მეთოდოლოგიური ინტერდისციპლინარიზმის ეპოქაში: როგორ უნდა მოხდეს ლიტერატურათმცოდნეობისა და ლინგვისტიკის მონაცემთა ინტეგრირება მხატვრული ტექსტის კვლევის პროცესში?

დისკუსია. როგორც ზემოთ დასმული კითხვის, ისე მასზე შესაძლო პასუხის შინაარსი თავისი თეორიული და მეთოდოლოგიური დიაპაზონით, რა თქმა უნდა, სცილდება მოცემული სტატიის ფარგლებს როგორც თემატური, ისე პრობლემური თვალსაზრისით. მაგრამ, ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ ზემოთ ფორმულირებული პრობლემით შევეხოთ ნარატოლოგიისათვის ისეთი მნიშვნელობის მქონე ცნებათა ურთიერთმიმართებას, როგორიცაა სიუჟეტი და პერსონაჟი, და, რაც მთავარია, შევეხებით მას სწორედ ინტერდისციპლინარულობის პოზიციიდან.

რას გულისხმობს ჩვენი სტატიის ფარგლებში მხატვრული ნარატივის კვლევისადმი ინტერდისციპლინარული მიდგომა? იგი გულისხმობს იმის კვლევას, თუ როგორი შეიძლება იყოს ენობრივ საშუალებათა როლი ნარატიული სიუჟეტის იმგვარი სტრუქტურირების შემთხვევაში, როცა უკვე ექსპოზიციის ფარგლებში ხდება პერსონაჟის მკითხველისადმი პრეზენტაცია მისი მეტი, თუ ნაკლები სისრულით *დახასიათების* გზით და, თუ გავითვალისწინებთ იმ ფუნქციას, რომელიც აკისრია ექსპოზიციას სიუჟეტის ზოგად სტრუქტურაში, ანუ იმ გარემოებას, რომ სიუჟეტის ფაქტობრივი განვითარება ხდება ექსპოზიციის შემდეგ, გასაგები ხდება იმ ენობრივ საშუალებათა მნიშვნელობა, რომლებსაც მთხრობელი იყენებს პერსონაჟის დახასიათებისას: ამ საშუალებებზე დაყრდნობით მთხრობელი *წინსწრების პრინციპით* გასაგებს ხდის მკითხველისათვის სიუჟეტის შესაძლო პერიპეტიათა მთელ ერთობლიობას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში სწორედ ნარატივის საკუთრივ *ენობრივმა* ასპექტმა უნდ აიღოს თავის თავზე მკითხველის მიერ სიუჟეტის აღქმისა და აგების ანტიციპაცია.

ჩვენი აზრით, სწორედ ექსპოზიციის ფარგლების პერსონაჟის არა სიუჟეტური (ან, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად სიუჟეტური), ესე იგი მხოლოდ ენობრივ *საშუალებებზე დაფუძნებული* ზემოთ ფორმულირებული ანტიციპაციის, როგორც პრობლემის, კვლევა გვიქმნის ლიტერატურათმცოდნეობის და ლინგვისტიკის მონაცემთა ინტეგრირების საინტერესო, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, არატრივიალურ შემთხვევას. ეს არატრივიალურობა კი მდგომარეობს შემდეგში: როგორც ცნობილია, ტექსტის თანამედროვე ლინგვისტური თეორია მოიცავს ისეთ თემატურ და პრობლემურ სფეროს, როგორიცაა მოძღვრება სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა გაიგება.

ეს ის ენობრივი ფორმებია, რომელთა მეშვეობით ხდება „სინამდვილის ფაქტობრივი ასპექტის აღქმა, შერჩევა და შეფასება“ (Bessmertnaja 1979: 14), როგორც ციტირებული ნაშრომის ავტორები ამბობენ, სწორედ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმების საშუალებით ხდება შესაძლებელი ის, რომ მეტყველების პროცესში „სინამდვილის ასახვა რეალიზებულია აღქმის, შერჩევისა და შეფასების შინაგანი განუყოფლობს გზით“ (Bessmertnaja 1979: 14).

ავტორები გამოყოფენ სამ ძირითად კომპოზიციურ ფორმას - „Bericht, Beschreibung, Eroerterung”, ანუ ცნობას (თხრობას), აღწერას და მსჯელობას (განმარტებას), მოცემული სტატიის ფარგლებში არ შეგვიძლია და არც მივიჩნევთ საჭიროდ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმებთან დაკავშირებული მთელი პრობლემატიკის განხილვას, მაგრამ ზემოთ, ჩვენს მიერ ფორმულირებულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით, გვსურს ხაზი გავუსვათ შემდეგ გარემოებას: როგორც ვნახეთ, ავტორები გამოყოფენ სამ უკვე აღნიშნულ ფორმას, მაგრამ, ამავე დროს, სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა-აღწერის ფარგლებში (ნაშრომის მისდამი მიძღვნილ თავში) გამოყოფენ და განმარტავენ ისეთ კომპოზიციურ ფორმასაც, როგორიცაა დახასიათება (Charakteristik) - თუნდაც, მას გამოყოფენ, როგორც სავსებით დამოუკიდებელ ერთეულს. მათი აზრით, დახასიათება, როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს „3 შემდეგი შინაარსობრივი ტიპით“:

1. პიროვნებათა დახასიათება;
2. უსულო საგანთა დახასიათება;
3. პროცესთა და მდგომარეობათა დახასიათება (Bessmertnaja 1979: 14). მაგრამ ჩვენი აზრით და ჩვენი კვლევითი მიზნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიეცეს იმას, თუ როგორ განასხვავებენ ავტორები დახასიათებას აღწერისაგან. მათი აზრით, თუ აღწერას საგნებს და პროცესებს სუბიექტი უშუალოდ აღიქვამს, დახასიათებისას ხდება პირიქით: „საგნები და პროცესები უშუალოდ კი არ აღიქმებიან, არამედ, პირიქით - დახასიათება წარმოადგენს მრავალჯერადი დაკვირვების, ანალიზის, შედეგთა რეზუმირებას“ (Bessmertnaja 1979: 14).

როგორც ვნახეთ, ციტირებულ ავტორთა მიხედვით, დახასიათების, როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც პიროვნება, ისე უსულო საგანი, პროცესები და მდგომარეობანი.

მაგრამ, რა თქმა უნდა, იმდენად, რამდენადაც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს მხატვრული ნარატივი, ჩვენთვის, პირველ რიგში, საინტერესო უნდა იყოს დახასიათების ის ასპექტი, რომელიც უკავშირდება პიროვნებებს, ანუ ნარატიული თვალსაზრისით *პერსონაჟებს* და სწორედ ამ თვალსაზრისით შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რასაც ზემოთ ვუწოდეთ ლიტერატურათმცოდნეობისა და ლინგვისტიკის მონაცემთა შესაძლო ინტეგრირების „არატრივიალურობა“. საქმე შემდეგშია: როგორც ზემოთ ითქვა, ექსპოზიციის ფარგლებში პერსონაჟის დახასიათება შესაძლებელია, როგორც წესი, მხოლოდ ენობრივი საშუალებებით და რას უნდა წარმოადგენდეს ენობრივი საშუალებები ლინგვისტური თვალსაზრისით, თუ არა *სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმა დახასიათებას* და სწორედ დახასიათების, როგორც ენობრივი ფორმის, ამგვარი, ანუ ექსპოზიციის ფარგლებში მისი გამოყენება ეწინააღმდეგება მის იმ განმარტებას, რომელიც ეძლევა უკვე ციტირებულ ნაშრომში წარმოდგენილ თეორიას. როგორც ვნახეთ, ამ თეორიის თანახმად, დახასიათება წარმოადგენს მრავალჯერადი დაკვირვების შედეგთა „რეზუმირებას“.

მაგრამ ამგვარ განმარტებას მთლიანად ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ექსპოზიციის ფარგლებში გამოყენებული დახასიათება *შეუძლებელია,* იყოს დაკვირვებათა („მით უმეტეს, მრავალჯერად“ დაკვირვებათა) შედეგი. როგორც ზემოთ ითქვა, ექსპოზიციაში გამოყენებული ენობრივი საშუალებებით მთხრობელი მკითხველს უქმნის სიუჟეტის სიღრმისეული არსის აღქმისა და გაგების *ანტიციპაციას.* ანტიციპაცია კი უნდა გავიგოთ იმის საპირისპირო მოვლენად, რასაც, შეიძლება, ეწოდოს „მრავალჯერად დაკვირვებათა შედეგების რეზიუმირება“. მაგალითისთვის მოვიყვანოთ დახასიათება, რომელსაც ექსპოზიციის ფარგლებში მთხრობელი აძლევს მოთხრობის „Brennendes Geheimnis” ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს, ახალგაზრდა ბარონს. Es war einer jener jungen Menschen, deren huebschem Gesicht viel geglueckt ist und in denen nun bestaendig alles fuer eine neue Begegnung, ein neues Erlebnis bereit ist, die immer gespannt sind, sich ins Unbekannte eines Abendteuers zu schnellen, die nichts Erotisches uebersehen, weil schon ihr erster Blick jeder Frau in das Sinnliche greift, pruefend und Unterschied, ob es die Gattin ihres Freundes ist oder das Stubenmaedchen. ვინც ცვაიგის ამ მოთხრობას იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ბარონის ეს დახასიათება მოცემულია არა სიუჟეტის იმ ეპიზოდების შემდეგ, რომლებიც მოგვცემდნენ გარკვეულ დაკვირვებათა შედეგების რეზიუმირების საშუალებას, არამედ პირიქით - იგი წარმოადგენს სწორედ ამ ეპიზოდთა ექსპოზიციურ ანტიციპაციას.

დასკვნა. ვფიქრობთ, ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი არგუმენტები და მსჯელობა იძლევა შემდეგი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას: მხატვრული ნარატივის ექსპოზიციის ფარგლებში ადგილი აქვს დახასიათების, როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის, იმ ფუნქციის ინვერსიას, რომლის შესახებაც ლაპარაკობს ლინგვისტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა:

Bessmertnaja (1979): N. Bessmertnaja, E. Wittmers, Uebungsbuch zur Textlinguistik (Einfache Komunikationsformen) Moskau;

Илъин (2001): И. Илъин, Наратология in: Литературная Энциклопедия, Москва.